ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5870093

ნომერი: AR1888504

თარიღი : 22.03.2022

გაცემის თარიღი : 29.03.2022

გაცნობის თარიღი : 29.03.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილის IV მ/რ, III კვ, 12 კორპ.მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ვარკეთილის IV მ/რ III კვ. N12 კორპ-ის მიმდ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ცხვედაძე პ/ნ 01001016243
- თბილისი ვარკეთილის IV მ/რ III კვ. კორ. 11 ბ. 32

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი NAR1888504 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ 2021 წლის 24 ნოემბერს NAR1853284 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ჯონი საჯაიამ და მოითხოვა სამსახურის მიერ შეთანხმებული (ბრძანება N5612821 27.09.2021) არქიტექტურული პროექტის და წარმოდგენილი

მშენებლობის ორგანიზაციის გრაფიკის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის გაცემა, ასევე 2022 წლის 25 იანვრას NAR1874315 ელექტრონული განცხადებით, სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე ჯონი საჯაიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ვარკეთილის IV მ/რ, III კვ, 12 კორპ.მიმდებარედ ; ვარკეთილის IV მ/რ III კვ. N12 კორპ-ის მიმდ N12, N01.17.10.004.045; საკადასატრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი -60%; სავაჭრო-საოფისე -40%) კორექტირებული (კონსტრუქციული ნაწილი) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილება, პროექტის შეთანხმება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხადარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
